



# საქართველო

№ 229  
(12 299)

28 სექტემბერი პარასკევი 2007  
გამომცემი 1934 წლიდან

ფასი  
50 თეთრი

რაზგი. მსოფლიო თასი. 30 სექტემბერი, 17:00

## საფრანგეთი საქართველოს წინააღმდეგ

ბერნარ ლაპორტმა ქართველთა სტილის შესაფერისი შეხედულება შეარჩია. მალხაზ ჭიჭიანი დღეს უპასუხებს



ჩხაიძე, კოპალიანი და კაჭარავა წამბიასთან მატჩში



ნიკოლოზ აბაშიძე

კვირას, მარსელის "ველოდრომ-ზე" საქართველოს ნაკრები თავის მეოთხე თამაშს გამართავს მსოფლიო თასზე. ჩვენი მეტოქე შეჯიბრების მასპინძელი, საფრანგეთი იქნება. დღეს, საღამოს, მალხაზ ჭიჭიანი შემადგენლობას დაასახელებს.

გუმინ კი, საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელმა ბერნარ ლაპორტმა გამოაცხადა 22-კაციანი რაზმი:

15. კლემან პუატრენო 14. ორელიან რუერი 13. დავიდ მარტი 12. იანიკ ჟოზონი 11. ქრისტოფ დომინი 10. ლიონელ ბოსი 9. პიერ მინიონი; 1. ოლივიე მილუ 2. სებასტიან ბრუნო 3. ჟან-ბატისტ პუ 4. ლიონელ ნალე 5. ჟერომ თიონი 6. სერჟ ბეტსენი (კაპ) 7. იანიკ ნიონგა 8. ჟულიენ ბონერი / 16. დიმიტრი მარუვესკი 17. ნიკოლა მასი 18. ფაბიენ პელუ 19. რემი მარტენი; 20. ჟან-ბატისტ ელისალდი; 21. დავიდ სკრელა 22. ვენსან კლერი

13

## კენ შილდსი აღარ ჩამოვა?



საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა უახლოეს დღეებში გაარკვევს, დარჩება თუ არა საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელად კანადელი კენ შილდსი.

მოვლენებს დავასწრებთ და ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის ხარჯზე წინასწარ გეტყვით, რომ შილდსი ჩვენს ნაკრებში აღარ იმუშავებს. აი, რა თქვა მან ისლანდიასთან მატჩის წაგების შემდეგ: "საქართველოს ეროვნულ გუნდში გორდონ პერბერტს ვცვლი. მას კონტრაქტი ამ შესარჩევი ციკლის დასრულებამდე უქონდა. გამოდის, რომ ფინეთთან მატჩის შემდეგ მეც თავისუფალი ვარ..."

ერთი კვირის მერე კაპიტანმა ვატონა ცელიშილიმა კენ შილდსზე, როგორც ნაკრების ყოფილ მწვრთნელზე ისე ისაუბრა. რჩება მთავარი - კალათბურთის ფედერაციის განწყობილება. შედეგებიდან გამომდინარე, ძნელი სავარაუდოა, ფედერაციაში შილდსის მოღვაწეობა დადებითად შეფასდეს და ლოგიკურიც იქნება, თუ კონტრაქტის განახლებაზე კანადელ მწვრთნელთან საუბარი აღარ შედგება. თუმცა, შილდსი წასვლამდე ისეთი ტონით საუბრობდა, რომ საქართველოში დაბრუნება რომ შესთავაზონ, ალბათ, უარს იტყობდა...

ვაჟა სიმონიშვილი

## ყველაფერი ისე არ არის, როგორც შენ გინდა...

წლეულს იანვარში გოგა გახოკიძემ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო - ფეხბურთელის კარიერა დაასრულა. ის ორი წელი ებრძოდა ქრონიკულ ტრავმას, მაგრამ ამ ბრძოლაში ვერ გაიმარჯვა - ფეხბურთელობა 31 წლისამ დაასრულა.

გახოკიძე ბოლოს ენსხედეს "ტვენტეში" თამაშობდა, მანამდე კი პსევ-ში, "ალანიაში" და თბილისის "დინამოში". ეროვნულ ნაკრებში 19 მატჩი უთამაშია და სამი გოლი გაუტანია.

ცაცია შუახაზელი, ვისაც დრიბლინგიც ეხერხებოდა და პასეზიც, შეუპოვარი და ტექნიკური, მაგრამ უიღბლო... გახოკიძე ახლა თბილისშია და ისევ ფეხბურთში აპირებს ყოფნას...

ინტარკიუ  
გიორგი გახოკიძესთან 4









ლეგიონერი

# რუსეთის სიყვარული ფეხბურთის იმიჯრება

ხოჯავას ვიზა ორთვიანობის შემდეგ მისცას

რუსეთის ელჩს საქართველოში, სერგეი კოვალენკოს რომ ვუხმინოთ, რუსებს ძალიან ვუყვარვართ, რუსეთი უბრალო მოქალაქეებს არას ერჩის. აგერ მოსკოვში ქართველი ვეტერანები მიიწვიეს და თვით იური ლუკოვმა ითამაშა და ჩვენი ქვეყნის მიმართ უზომო სიყვარულის ნიშნად, სტუმართა ფორმა მოიხრია.

ელჩი ქართველ ინტელიგენციას ხვდება და გულისტკივილით ამბობს, გადაშენების გზაზე დგახართ. ასეთებს დამონებული საქართველო უყვართ, რომელიც მუხლებზე დაეხობა და ეტყვის, მიმიღე შენს დიდ სამფლობელოში.

რა ჩვენი გაზეთის თემა პოლიტიკა, მაგრამ ბოლოდროინდელი მოვლენები თემებს აახლოებს, რადგან რუსულმა პოლიტიკამ ქართველი ფეხბურთელები მძიმე დღეში ჩააგდო.

თუკი რუსეთისთვის მხოლოდ საქართველოს ხელისუფლებაა მიუღებელი და უბრალო ხალხს არას ერჩის, მაშინ ბატონ ელჩს მოუწევს იმის ახსნა-განმარტება, რატომ უყვარებენ რუსეთის ვიზას, ან საერთოდ არ აძლევენ ქართველ ფეხბურთელებს და სპეციალისტებს.

დავით მუჯირი, გოგიტა გოგუა, გიორგი ჭელიძე, გონა ხოჯავა და იური მამინაშვილი უბრალო ხალხია, ხელისუფლების წევრები არ არიან, რუსეთის საკონსულომო კი მათ სავიზო პრობლემები შეუქმნა. დათო მუჯირი ტრავმის შემდეგ სამარის "კრილია სოვეტოს" დაუბრუნდა.

ამასობაში ნაკრებში მიიწვიეს და მერე რუსეთში შესვლას ლამის ერთი თვე ელოდა. მას დამაჯერებელი სეზონი რომ არ ჰქონდა, რუსეთის საკონსულომო ამაში ლომის წილი დაიდო. აბა, ტრავმამოშუებული მოთამაშე, მოედნის ნაცვლად, სამი კვირა ყოველდღე რუსეთის საკონსულოსთან რომ ირბენდა, რა ფორმაში იქნებოდა?

იგივე გოგიტა გოგუა - თითქმის ორი კვირა ისიც ვიზის რეგში იდგა. ესეც ნაკრების თამაშებს დაემთხვა. ორივეს პრობლემა სეზონის დასაწყისში შეექმნა, როდესაც განსაკუთრებული მონდომებით ემზადებიან.

მუჯირის საკითხი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის დონეზე გადაწყდა, პატრონი გოგუასაც გამოუჩნდა, მაგრამ შედარებით უსახელონი დაინაგრენ.

მაგალითად, იური მამინაშვილი ნოვიკოვნიცის "მეტალურგ-კუზბასში" სპორტული დირექტორის პოსტზე სულ ტყუილად დანიშნეს - ვიზა არ მისცეს და ბათუმის "დინამოში" დაინყო მუშაობა. ის მთელი ოთხი თვე (?) საკონსულომოში დადიოდა.

გიორგი ჭელიძე ორი თვე ელოდა საკონსულოს წყალობას და მხოლოდ სეზონის დაწყების შემდეგ ჩაურთყეს ბეჭედი. ამ დროს მოსკოვის "ლოკომოტივიში" დაბრუნება აზრი აღარ ჰქონდა და იძულებული გახდა, საქართველოში დარჩენილიყო.

ახლა მოგანვით გუშინდელ ინფორმაციას, რომელიც "გადაშენების თეორიის" შემდეგ გავრცელდა და ისიც ადამიანის წარმოდგენას სცოდნება. მახაყალის "ანჟის" ქართველი ნახევარმცველი გონა ხოჯავა ორთვიანობის შემდეგ დაუბრუნდა.

"ხოჯავა ორთვიანობის შემდეგ დაბრუნდა" - იუნყება "სპორტ-ექსპრესი". წარმოგიდგინათ, ფეხბურთელი ორთვიანობის გუნდს რომ მოწყვეტილია, რა დღეში ჩავარდება? როგორც იქნა, გონა ხოჯავამ სიზარმაცე და დარდიმანდობა წარსულს ჩააბარა, რუსეთის პირველ ლიგაში ათამაშა (რიონელიც სულაც არ გახლავთ ხელნაწი-საკრავი დონის), პრესაში რამდენჯერმე თბილად დაახასიათეს, ტურის სიმბოლურ ნაკრებშიც ორჯერ მოხვდა და უცებ ამხელა პაუზა!

ამ საქციელს რა ჰქვია, ალბათ, ბატონი ელჩი იტყვის. ზემოხსენებულ ფეხბურთელებს სეზონი ჩაუვარდათ, რადგან გახურებულ სეზონში ინდივიდუალური ვარჯიშით ფონს ვერავინ გავიდოდა.

არ გვჯერა ასეთი "სიყვარულისა" და "მზრუნველობის", ეს ყველაფერი სიყვალბეა. ჩვენს მთავრობას კი არა, მთელ ქვეყანას ებრძვიან.

სახარებისული სიბრძნეა - სიტყვა საქმის გარეშე მკვდარიყო. რუსეთის ელჩს საქმეებიც ყიდის.

მერაბ მამულაშვილი



გოგიტა გოგუა



კახა ალადაშვილი

ქართველები უპრანინაში

# დააბრუნებს საბო ქართველებს კიევში?

მოსკვას ალადაშვილი არ ავიწყდება

კიევის "დინამოში" მთავარ მწვრთნელად გამოცდილი იოჟეფ საბო დანიშნეს. კაცი, რომელიც ბოლო ხუთი წლის განმავლობაში უკრაინის ყველაზე ტიტულოვან კლუბში ქართველების გადასვლის ინიციატორი გახლდათ - ალეკო ამისულაშვილი, კახა ალადაშვილი, ოთარ მარცვალაძე და დავით იმედაშვილი მისი რეკომენდაციით აიყვანეს. თუმცა გავიდა დრო, დასახელებული მოთამაშეები ძირითადად ვერ მობგდნენ და გაანათხოვრეს.

ქართველები დღემდე კიევის "დინამოს" ეკუთვნიან. ერთი შეხედვით, საბოს სურს კიეველთა პრეზიდენტის წინაშე შერცხვენილი სელექციონერის იმიჯის გამოსწორება და შემოსავლების წყაროს კონტროლი. ხომ არ დააბრუნებს საბო ქართველებს კიევში?

მას ქართველთა წარუმატებელი ტრანსფერებისთვის პასუხი მოსთხოვეს. "დინამოს" პრეზიდენტმა საბოს მისამართით რამდენიმე მკვეთრი განცხადება გააკეთა მაშინ, როდესაც ალადაშვილის, იმედაშვილისა და მარცვალაძის გასხვიება გადაწყვიტა.

საბოს თავის დაცვა მოუხდა, მაგრამ ყველაფერი მოთამაშეებს დააბრალა - ნიჭიერი ბიჭები კი არიან, მაგრამ "დინამოში" გამოსვლის შემდეგ მოტივაცია დაკარგეს.

ხომ ვერ იტყოდა, "დინამოში" ქართველთა ტრანსფერებიდან წილები რომ ვერ მიიღო, ამიტომ დაგინუნეთო. ეს ნიუანსი არაა "დინამოში", მსხვილმანია.

აქედან გამომდინარე, უნდა ვიფიქროთ, რომ საბო ქართველებს "დინამოში"

ალარ დააბრუნებს და კიდევ ერთი ფაქტორი: კიეველთა ყველა სატრანსფერო საკითხი რეზო ჭიხონელიძეს ჩააბარეს, რომელიც საქართველოსკენ გამოხედვას არ აპირებს. ის ყოველთვის ხაზს უსვამდა, რომ კალაძის დარი ტალანტი საქართველოში არ ეგულებოდა.

ერთადერთი ქართველი, ვინც კიევში დაბრუნებაზე ჯერ კიდევ ფიქრობს, კახა ალადაშვილია. ის უფრო დამტკიცებულად გრძობს თავს, ისეა, როგორც თეზი წყალში, მაგრამ ნაკრებში აღარ იწვევენ. კახასთვის კიევში დაბრუნება და "დინამოს" ძირითადში დამკვიდრება "ჯვაროსნებში" დაბრუნების ნინაპირობაა. აქ პრობლემა ისევე იოჟეფ საბოა.

მათ ურთიერთობაში იყო მნიშვნელოვანი ნიუანსი. ალადაშვილი კიეველებს ზამთრის ორ შეკრებაზე გაჰყვა, რის შემდეგაც უკრაინულ კლუბში სატრანსფერო რეკავაციანი საბჭო შეიკრიბა. მათ თითოეულ გადამწყვეტილებაზე პასუხი მოეთხოვებოდათ. შვიდი სელექციონერის დადებითი პასუხი კიეველთა დღევანდელი მწვრთნელის გადაწყვეტილებით დაიბლოკა. ალადაშვილის აყვანა მხოლოდ მას არ სურდა. მიზეზი პრაგმატულია - ტრანსფერიდან თეთრიც არ შეხვდა.

კახას არჩევანი აქვს - მისი გამოსყიდვა რუსეთის პრემიერლიგულ "მოსკვას" სურს. გუნდს, სადაც ზაფხულში ისინჯებოდა. მაშინ კახა თავისთვის ცუდ დროს ჩავიდა, რადგან გუნდს მოსამზადებელი ეტაპი დასრულებული ჰქონდა. ალადაშვილი მოუზადებელი

გახლდათ და სასურველი ფიზიკური კონდიციებისგან შორს იყო. ამდენად, მას მომზადებულ კონკურენტებთან შანსი არ ჰქონდა.

ამის მიუხედავად, ის მთავარ მწვრთნელ ლეონიდ სლუცკის მაინც მოეწონა, მაგრამ მოუზადებელმა ქართველმა ბოლომდე მაინც ვერ დაარწმუნა და სლუცკიმ ტრანსფერზე დროებით უარი თქვა.

თუმცა, როგორც შევიტყვეთ, რუსები ალადაშვილზე დაკვირვებას მას შემდეგაც აგრძელებდნენ. შესაძლოა, უკრაინის ჩემპიონატის პირველი წრის დასრულების შემდეგ კახა ისევ "მოსკვაში" აღმოჩნდეს. თავად მას რუსეთში თამაში სურს, მაგრამ საბოლოოდ არც კიევზე უთქვამს უარი.

ოთარ მარცვალაძის მომავალი უცნობია. ალბათ, ისიც სხვა გუნდში, ან ისევ "ზაკარპატივიში" ითამაშებს.

დათო იმედაშვილის შესახებ საინტერესო ფრაგმენტი იტალიელ ჟურნალისტს ინტერნეტ-გვერდ "გოლზე" ეწერა. თითქოს, ჩემპიონთა ლიგის თამაშებამდე კიეველებმა რამდენიმე ფეხბურთელი გაყიდეს და ჩამონათვალში ქართველი უნივერსალი, დათო იმედაშვილიც მოხვდა. ეწერა, თითქოს, ის ლატვიის ჩემპიონმა "ვენტსპილსმა" იყიდა. თუმცა ეს არასწორი ინფორმაციაა - იმედაშვილი კიეველებმა "ვენტსპილსში" გაანათხოვრეს, ტრანსფერის გამოსყიდვაზე ლატვიელებს მოლაპარაკება არც ჰქონიათ.

მერაბ მამულაშვილი













# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგინებთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

ქართველები ევროტასეზზე

# აზოტი თუ ანსტერდამი? შავირაპირებითი დახასიათება



ანსტერდამი-ნიმბურკი. 5-ტიმდი გიბსონი

ერთ თვეში, 30 ოქტომბერს რუსთავის "აზოტი-ენერჯი ინვესტი" ევროტასეზზე ჰოლანდიის "ანსტერდამს" უმასპინძლებს. მატჩი თბილისის სპორტის სასახლეში 19 საათზე დაიწყება. 6 ნოემბერს ეს გუნდები ჰოლანდიის დედაქალაქში გაარკვევენ მომდევნო ეტაპზე გამსვლელის ვინაობას. აქვე იმასაც მოგახსენებთ, რომ "აზოტი"-ანსტერდამის წყვილში გამარჯვებულს მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე ბელგიური "მინსი" ელის, რის შემდეგაც ევროტასეზზე დარჩენილი 16 გუნდი 4 ჯგუფად გაიყოფა და ბრძოლას ისე განაგრძობს.

დიდი სურვილი გვაქვს, ჯგუფურ ტურნირში ქართული კლუბიც ვიხილოთ, მაგრამ გულახდილად უნდა ვთქვათ, "აზოტს" დღევანდელი შემადგენლობით ჰოლანდიური ბარიერის გადალახვა გაუჭირდება. თუნდაც შემადგენლობის მხრივ, "აზოტი" ანსტერდამს საგრძობლად ჩამორჩება...

მოდით, დღეს ქართული და ჰოლანდიური გუნდები ერთმანეთს შევუპირისპიროთ და გამოვარკვიოთ, რა შანსი აქვს "აზოტს" ევროტასეზზე. როგორც დასაწყისში ვთქვით, პირველ მატჩამდე ერთი თვეა დარჩენილი და ორივე გუნდი მეტ-ნაკლებად კარგადაა ჩამოყალიბებული.

### მწვრთნელი

"ანსტერდამს" ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს - არიკ შივეკი, რომელიც ჰოლანდიაში პირველ ნაბიჯებს დგამს. იგი აქამდე ისრაელში მოღვაწეობდა. ჯერ რამათ-განის "ჰაპოელს" წვრთნიდა, შემდეგ თელ-ავივის "ჰაპოელს". ასიკ შივეკი 51 წლისაა და ასაკის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, "აზოტის" თავკაც და ვით უსტრიაშილებზე გამოცდილი უნდა იყოს...

...მაგრამ ქართველ მწვრთნელს ასაკის მიუხედავად სეროზული გამოცდილება აქვს. 2002 წლიდან უმაღლესი ლიგის გუნდებსაც ავარჯიშებს ("აკადემია", "დინამო", თსუ, "აზოტი") და ახალგაზრდულ ნაკრებებსაც. 2004 წლიდან დრავენ ბრაიკოვიჩთან, გორდონ პერბერტთან და კენ შილდსთან ერთად ეროვნულ გუნდშიც მუშაობდა. დავით უსტიაშვილმა გასულ სეზონში "აზოტი" სათანადოდ შეკრა და ჩემპიონობაც დამსახურებულად მოიპოვა.

ასე რომ, წინასწარ ვერ ვიტყვით სამწვრთნელო საკითხში "აზოტს" აქვს უპირატესობა, თუ "ანსტერდამს". ეს უშუალოდ შივეკ-უსტიაშვილის დაპირისპირებაში გამოჩნდება.

### მზადება

ამა თუ იმ ტურნირისთვის მზადება ნორმალურ ქვეყნებში მხოლოდ მწვრთნელზეა დამოკიდებული - სადაც კლუბის თავკაცი ისურვებს, შეკრება იქ უნდა გაიმართოს. მაგრამ საქართველოში პირობებს არა მწვრთნელები, არამედ ფინანსები კარნახობენ. თუ შეკრებისთვის საჭირო თანხა გამოინახება, ხომ კარგი, თუ არა -

მშობლიურ არენებზე განაგრძობენ მზადებას.

რუსთავის "აზოტი" გასულ თვეში ბაკურიანში ვარჯიშობდა. მთავარი მწვრთნელის, დავით უსტიაშვილის თქმით, მეორე შეკრება ჰოლანდიელებთან მატჩამდე მოენწყობა, რათა გუნდი ევროტასის დაწყებას სათანადოდ მომზადებული შეხვდეს. თუმცა, ჯერ არ გარკვეულა, სად და როდის გაიმართება "აზოტის" მეორე შეკრება.

მანამდე ქვემოქართლებს არაერთი მატჩის ჩატარება მოუწევთ - ჯერ დანიის მემორიალზე ითამაშებენ სამჯერ (4-7 ოქტომბერს), ხოლო 16 ოქტომბერს საქართველოს ჩემპიონატში ჩაერთვებიან. საქართველოს პირობების გათვალისწინებით, უნდა აღვნიშნოთ, რომ "აზოტი" ანსტერდამთან მატჩს ნორმალურად მომზადებული შეხვდება, მაგრამ ვერც იმას ვიტყვით - მეტოქეზე უკეთესი მოსამზადებელი გეგმა აქვსო...

ჰოლანდიელები ავგისტოს შემდეგ დედაქალაქში ვარჯიშობდნენ, ხოლო როცა შემადგენლობა შეკრიბეს (ერთი ლეგიონერი ევროპის ჩემპიონატზე შეყოვნდა, ორი ჰოლანდიელი ეროვნულ გუნდში თამაშობდა...) ქვეყნის გარეთაც გავიდნენ.

"ანსტერდამმა" სეზონის პირველი მატჩი ჩეხეთის ჩემპიონ "ნიმბურკის" წინააღმდეგ ჩაატარა და 69:95 დამარცხდა. "აზოტის" მეტოქე პრალაში კიდევ ერთი კვირით გაჩერდება და 2-3 საკონტროლო შეხვედრას გამართავს, 5 ოქტომბრიდან კი ჰოლანდიის ჩემპიონატში ჩაერთვება. "ანსტერდამი" სადებიუტო მატჩში "როტერდამს" უმასპინძლებს.

### შემაღვენლობა

ზემოთ ვთქვით - ბევრი რამე მწვრთნელზეა დამოკიდებული. ეს ფრაზა მხოლოდ მაშინაა მისაღები, როცა ერთმანეთს თანაბარი შემადგენლობის გუნდები ხვდებიან, ხოლო თუ ერ-

თის შემადგენლობა მეორისას ხარისხობრივად საკმაოდ აღემატება, მაშინ სუსტს ვერც სამჭკუაშვილი უშვების. სწორედ შემადგენლობების გადახედვის შემდეგ ნახავთ, რომ დღევანდელი "აზოტი" "ანსტერდამს" ჩამოუვარდება.

ჯერ ჩვენების სიას გავაცნობთ: ბესიკ ლეჟავა, რეზო დიღია, გოგა ცეკვაძე, რამაზ გოგობერიშვილი, შულღეშტ ტუჯანი, ზვიად ბაბიაშვილი, ანატოლი ბოისა, ლაშა გამყრელიძე, მიხეილ ჭოჭუა და გეგი ლიპარტიანი. გუნდის ხელმძღვანელობამ სწორედ ეს ათეული შეიყვანა ევროტასის წინასწარ განაცხადში.

მათგან ევროტურნირებზე თამაშის გამოცდილება მხოლოდ ბაბიაშვილს, ტუჯანსა და გოგობერიშვილს აქვთ. ზვიადი და შულღეშტი მარმანის ბაქოს "გალას" მაისურით ფიბას თასზე ასპარეზობდნენ, ხოლო კაპიტანმა რამაზმა 1998-99 წლებში "აზოტის" მაისურით ორჯერ ითამაშა კორაჩის თასზე.

ევროტურნირების დებიუტანტები არიან ბოისა და გამყრელიძე, თუმცა ეროვნულ ნაკრებში საკმარისი გამოცდილება აქვთ დაგროვებული.

ვერც დანარჩენებზე ვიტყვით - საერთაშორისო არენას არ იცნობენო - ლეჟავას, დიდიას, ცეკვაძესა და ჭოჭუას კადეტთა ნაკრებშიც უთამაშიათ და ახალგაზრდულშიც.

მართალია, "ანსტერდამი" ლეგიონერებითაა გაძლიერებული, მაგრამ რუსთაველებს შარმანდელი შემადგენლობა რომ შეენარჩუნებინა, თამამად ვიტყვით - ევროტასის მომდევნო ეტაპზე გასვლის მანძილზე გუნდს თანაბრად აქვსო. გაზაფხულის შემდეგ "აზოტი" დატოვა ძირითადი შემადგენლობის ოთხმა კალათბურთელმა - დავით უგრეხელიძემ, გიორგი მარკოვიშვილმა, ვაკო ბუჯანიშვილმა და კოტე ტულუშმა. მათ კი მხოლოდ ზვიად ბაბიაშვილი ("ავიამშენიდან") და ბესიკ ლეჟავა (თსუ-დან) ჩაენაცვლნენ.

ანსტერდამელთა შემადგენლობაზე საუბარს ჩვენთან მატჩით დავინწყებთ. მატჩის ბომბარდირი ამერიკელი ტედი გიბსონი გახდა - 17 ქულა, 4 მოხსნა. იგი ლუიზიანელია, მსოფლიო-გამთამაშებელი (193 სმ) და გასული სეზონი გერმანულ "ჰაფენბორნში" გაატარა (34 მატჩი, 14.6 ქულა, 40 მოხსნა, 3.6 პასი). გიბსონის შეჩერება ლაშა გამყრელიძესა და ანატოლი ბოისას მოუწევთ.

13 ქულა მოაგროვა მეორე ტანდაბალმა ლეგიონერმა, ტამიერ ტრენტმა. ისიც ამერიკელია და ჰოლანდიის გარდა გერმანულ "კაიზერსლაუტერნში" აქვს ნათამაშები.

"ანსტერდამის" რიგებში ნიდერლანდთა ეროვნული გუნდის ორი წევრია - პეტერ ფან პასანენი და შტეფან ვესელსი. ავგისტოში B დივიზიონის მატჩებში ეს დუეტი სასტარტო ხუთეულში თამაშობდა. ჩეხებს ვესელსმა 13 ქულა ჩაუდო (4 მოხსნა), ხოლო პასანენმა - 11 (8 მოხსნა).

მესამე ამერიკელმა ფორვარდმა ჯერონ რობერტსმა "ნიმბურკთან" 8 ქულა და 3 მოხსნა მიითვალა. თუმცა ეს "მატყუარა" სტატისტიკაა. მომავალ სეზონში "ანსტერდამის" მთავარი დამრტმელი ძალა სწორედ რობერტსი უნდა იყოს. იგი გუნდის ყველაზე გამოცდილი და წარმატებული სპორტსმენია. ჯერონი ტაირონ ელისის მსგავსად ნატურალიზებული ამერიკელია და ისრაელის ნაკრებში ახლახან დასრულებულ ევროპის ჩემპიონატზე მიიღო მონაწილეობა. გასული სეზონი მან კვიპროსის აელ-ში გაატარა და ევროტასზე იმდენად ეფექტურად ითამაშა, რომ "ოლ-სტარში" მიიწვიეს.

ზემოთჩამოთვლილების გარდა გუნდში ირიცხებიან იაირ ველდჰოისი, რამონ სილიადე, რობერტ კრაბენდამი, ქრისტიან ფან ლოომი, ავის ვაიატი (აშშ) და ალონ შტეინი (ისრაელი). ასე და ამგვარად, შემავლელობით "აზოტს" "ანსტერდამი" აშკარად სჯობნის, მაგრამ, ალბათ, ყურადღება მიაქციეთ, რომ ზემოთ აწერებულ ვიხმარე სიტყვა "სადღეისო".

მთავარმა მწვრთნელმა დავით უსტიაშვილმა გვითხრა, რომ ევროტასზე გაზაფხული შემადგენლობა აუცილებლად გაფართოვდება, თუმცა არ დაუკონკრეტებია, უცხოელებს დაიმატებს, თუ ქართველებს. ამ წერილის ავტორის დიდი სურვილია საუბარი ლეგიონერებზე იყოს. თუნდაც ორი ამერიკელი "აზოტს" საგრძობლად გაძლიერებს...

კლუბის ხელმძღვანელობას, ალბათ, ჩვენზე უკეთ ესმის, რომ ევროტასის ჯგუფურ ეტაპზე შედგება სახელს "აზოტი-ენერჯი ინვესტი" მთელს ევროპაში დაატარებებს. ამასთან, ქართულ კლათბურთს გაუწევს დიდ სამსახურს.

### მიღწევა

ბოლოს "აზოტისა" და "ანსტერდამის" საევროპო მიღწევები შევედაროთ. რუსთაველებმა 1998 და 1999 წლებში ითამაშეს კორაჩის თასზე. პირველ შემთხვევაში ესტონურ "ტალინთან" დათმეს, მეორეჯერ უკრაინულ "შატართან". "აზოტს" პირველი ეტაპის ბარიერი ერთხელაც არ გადაულახავს.

"ანსტერდამი" 1996 წლიდან რეგულარულად ასპარეზობს ევროტურნირებზე, თუმცა "აზოტის" მსგავსად, დიდი წარმატებით ვერ დაიკვეხნის. 2001 წელს კორაჩის თასზე ჯგუფიდან გავიდა და ნახევარფინალში ესპანურ "უნიკასასთან" წააგო. ხოლო მეორედ ჯგუფიდან 2005 წელს გააღწია და მერვედფინალში ისრაელის "ნიპარასთან" ვერაფერ გააწყო.

ვაჟა სიმონიშვილი

**კალათბურთი** საქონი ინგ

**დუდუ დადიანის გემორიალი**

4-7 ოქტომბერი. რუსთავი

<b>A ჯგუფი</b>	<b>B ჯგუფი</b>
ავიაგზანი	თსუ
პიტოა	აზოტი
დინამო	ბაკაბი

4.5.6 ოქტომბერი  
დასაწყისი: 14:00 სთ.

7 ოქტომბერი (ფინალური)  
დასაწყისი: 12:00 სთ.

გენერალური სპონსორი  
სახალხო ბანკი  
PEOPLE'S BANK

სსპა ოლიმპიკი

**თარიღი**

ნოდარ ხონაშვილი. დაიბადა 28.09.1940, თბილისი. თავისუფალი ჭიდაობა (68 კგ). 1964 წლის ტოკიოს ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ჩემპიონატების (1969) მესამე პრიზიორი, ევროპის ჩემპიონატის მეორე პრიზიორი (1969), სსრკ ჩემპიონი (1969), მეორე (1962) და მესამე (1972) პრიზიორი, სსრკ ხალხთა V სპორტაკიადის მეორე პრიზიორი (1971). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი.

ნიმე სურციძე



## ქალბატონებო და ბატონებო, საქართველოს სახელმწიფო ჰიპნი... საჭიდაო ხალიჩის ჩანაწერები ჭკვიანი კაცის საფლოჯელოდან



“ილხამ ჰიპნოზიზმი ოჩენ უმნიი ჩე-ლოვეკ, ქულთურნი”. - მრავალმნიშვნელოვანად ჩაილაპარაკა სასტუმრო “ნეა-პოლის” დაცვის წევრმა და, ეტყობა, მეტი ვფიქრის მოსახდენად, მაშინათვე გაგვიშორდა... აი, პირველი, რაც ჩემი თითქმის კვირანი ბაქოური შთაბეჭდილებიდან მასხენდება. რა თქმა უნდა, “დავით ბედინაძის და რამაზ ნოზაძის ტრიუმფის და ჰეიდარ ალიევის სახელობის სპორტკომპლექსში ორჯერ აუღერებული საქართველოს ჰიპნის შემდეგ, მსურს, ჭიდაობის მსოფლიო ჩემპიონატის პერიპეტების გასაყენება, კულისებში მომხდარისა და გაგონილის მოყოლა. არ მინდა მთავარ თემას (ჭიდაობას) დავშორდე, მაგრამ, როცა აზერბაიჯანს სტუმრობა “იმ ჭკვიანი კაცისა” და მისი ლეგენდარული მამის გარეშე არაფერი გამოვა.

ორი ამდენი სასტუმროში მობილიზება ბოლო წამს არ უნდა დასჭირვებოდათ. ტრანსპორტირება, დარბაზში მყოფი ჟურნალისტებისთვის შექმნილი პირობები, კრიტიკას ვერ უძლებდა და, რაც მთავარია, უკეთ გაკეთების სურვილით ორგანიზატორები ყოველდღე თითო სისულელეს უმატებდნენ. ყველაფერი კი ბოლოს სომეხი ფალაგენების ჩამოსვლას ბრალდებოდა “ვინა ვსიო სპიშეტ” პრინციპით. ისე, გულზე ხელი დავიდოთ და შედებოდა კი თბილისი, ჩვენი ჭიდაობის ფედერაცია, ქალაქის მთავრობა ასეთი დონის ტურნირის თუდაც აზერბაიჯანელთა დონეზე მასპინძლობას? მეეჭვება...

### ყველა გზა ბაქოში მიდის

თუკი ჩინეთში, წინა მსოფლიო ჩემპიონატზე, ქართველები თითებზე ჩამოსათვლელნი ვიყავით, ბაქოში ყოველ ნაბიჯზე ქართულ საუბარს გაიგონებდით, თითქოს ჰეიდარ ალიევის კომპლექსში კი არა, თბილისის სპორტის სასახლეში ვიყავით. ჩვენ თანამემამულეთა რიცხვი განსაკუთრებით პირველი ორი დღის სუპერნარმატების შემდეგ გაიზარდა. სამუხაროდ, როცა ჩვენებურთა რიცხვმა ლამის პუბლიკის ნახევარს მიაღწია, ნარმატებებიც ნარუმატებლობით შეიცვალა. იმ დღეებში ბაქოში იყო ჭიდაობის სამყაროს წარმომადგენელი თითქმის ყველა ქართველი, რომელმაც ფეხზე დგომა შეძლო.

### რაფაელი და ანტირაქორდი

რაფაელ მარტინეზის, ფილას დღევანდელ შვიცარიულ პრეზიდენტს ჭიდაობის ერთი ანტირაქორდი ეკუთვნის - მან ჩვენს თანამემამულე ლევან თედი-აშვილთან სამ წამში (!) წააგო სუფთად. არ ვიცი ამ ორთაბრძოლის გამოძახილია, თუ არა, მაგრამ კომერციალიზაციის და დინამიურობის გაუმჯობესებას სურვილით მარტინეზის ყალიბის ფილა თითქმის ყოველწლიურად ცვლის ჭიდაობის წესებს. თითქოს ამას რაღაც შედეგებიც მოაქვს, ჭიდაობის გეოგრაფიაც იზრდება (ბაქოში 107 თუ 109 ქვეყნის წარმომადგენლები ჭიდაობდნენ. მათ შორის, ქართველი მწვრთნელის დამოძღვრელი სენეგალელები). უდავოა, რომ ჭიდაობა უფრო დინამიურიც გახდა, მაგრამ თვალსაყვირით? მეეჭვება. თავისუფალი ჭიდაობის მთელ ტურნირზე არ ყოფილა არცერთი (!) ილეთი ფეხით შესრულებული (არა, იყო ერთი იაპონელი გოგოს შესრულებით), არადა, რამდენი ულამაზესი ილეთი სრულდებოდა ფეხით, თუნდაც ქართველი ფალაგენების მიერ. არ ყოფილა თითქმის არც ბეჭებზე გაკვრა. სამაგიეროდ, იმავე “თავისუფლებში” უფრო ძლიერი დანიაურებული მოჭიდავის მთავარი ამოცანა მეორე პერიოდში მონინალმდეგის ხალიჩიდან გაყვანა და შემდეგ ამ ერთქულიანი უპირატესობის შენარჩუნება იყო. რამდენიც გინდათ, იმდენი შემთხვევა ვნახე ასეთი. ასე მარტივად კი უკვე სუპოშიც აღარ უდგებინან საქმეს. დინამიურობამ კი თედი-აშვილის რეკორდი ჯერ ვერ დააბნო.

### დაუბატონებელი სტუმრები

ჭიდაობას თემიდან ერთხელაც გადავუხვევით, თუმცა ამის არ აღნიშვნა შეუძლებელია. ასეთ დიდ ტურნირში სომეხმა ათლეტებმა აზერბაიჯანში პირველად იასპარეზეს. მათ რომ იქ არავინ ელოდა გაშლილი ხელით, იქიდანაც ჩანს, რომ უსაფრთხოების გარანტია ფილამ გასცა და არა აზერბაიჯანულმა მხარემ. სომეხებთან მიკარება ჟურნალისტებსაც კი კატეგორიულად გვეკრ-



ძალბებოდა. არადა, სწორედ მათ გამო სპეციალურად არ ყიდდნენ ბილეთების დიდ ნაწილს, რადგან გადაჭედილი დარბაზის კონტროლი გაუჭირდებოდათ. თუკი ჰეიდარ ალიევის დარბაზში საშინელი გნაასი იყო - ესე იგი, სომეხი ფალაგენი ჭიდაობდა. მაყურებელი ნებისმიერი ჯურის სპორტსმენს გულშემატკივრობდა მათ წინააღმდეგ, თუმცა ტურნირის განმავლობაში ერთხელ მაინც მოუწიათ სომეხეთის დროშის აღმართვის ხილვა, როდესაც სომეხეთს ბელარუსმა “ლეგიონერმა” პატრიკევი-მა ბრინჯაოს მედალი მოუპოვა.

### მსოფლიო ფარიდის ფარხი

ერთი ბრძოლის მოგებით შეიძლება ცხოვრება აინყო... შეიძლება კი არა, ზუსტად ასე მოუგო და აზერბაიჯანელ

ფარიდ მანსუროვს, 66 კილოში ანტი-კური სტილით მოჭიდავეს. მის გაცემი-ონებას თავად პრეზიდენტი დაესწრო, მეორე დღეს კი საზეიმოდ მიიღო თავის რეზიდენციაში. მსოფლიო ჩემპიონი უფულობას არც ადრე უჩიოდა, ახლა კი აშენდა, მას ახალთახალი მანქანა, კერძო სახლი ბაქოში აჩუქეს, ასიათასი დოლარი ჩაურციხეს და სტიპენდია (5 ათასი დოლარი თვეში) დაუნიშნეს.

### არსად ისე არ ვაჭრობენ

ფული ვახსენე და მინდა ჭიდაობაში გამეფებულ კორუფციასა და ყიდვა-გაყიდვაზე გავამახვილო ყურადღება. ყიდვა-ყიდვამ ისე წალეკა სპორტის ეს ლამაზი სახეობა, როგორც დოპინგომ-ნიამ ველოსპორტი, ყველაფერს უკვე ფილას ბოსების კორუმპირებულობით ვედარც ავხსნით. ჩემს თვალწინ ტუქ-

სავდა შარშან ჩინეთში “ნაყიდი” მატჩის წაგებისთვის სპორტსმენს რუსთა თავ-კაცი მიხეილ მამიაშვილი. ჩემს გვერ-დით მიმდინარეობდა მსაჯის “შემა” ბაქოში, რომ მას ერთ-ერთი ფალაგენის სასარგებლოდ ესტვინა. ამ საქმეში განსაკუთრებული წარმატებით რუსები, თურქები, ყირგიზები და ყაზახები გა-მორჩევიან (სხვეთი უფრო წვრილად “ჩალიჩებენ”). ცალკე აღნიშვნის ღირ-სია კუბელთა ქცევა, მათ ისეთი მოჭი-დავეები ჰყავთ, წესით, რუსებსაც კი უნდა ეცილებოდნენ გუნდურ პირველ ადგილს, მაგრამ... კუბელ ოლიმპიურ ჩემპიონს სახელმწიფო 3 ათას დოლარს აძლევს, იმასაც დაქვითვით. წარმოიდ-გინეთ, რამდენს გაიღებს კასტროს რე-ჟიმი “რიგითი მსოფლიო ჩემპიონატის” გამარჯვებულისთვის. ჰოდა, ყიდვან ეს საბრალო ჯანიანი ბიჭები მატჩებს და ამის შესახებ პოტენციურმა მყიდვე-ლებმა კარგად უნდა იცოდნენ. ტურნირზე ხმა დაიბნა, ანტიკური ჭიდაობის მიმე წო-ნის ფინალის წინ კუბელი მიხანი ლოპე-სის “ყიდვა” რუსებმა გადაწყვიტეს, თუმცა უარი მიიღეს. ბიჭს კინაღამ მიმედ დაუჯდა მოუსყიდველობა, თა-ნაბარი ბრძოლა ორჯერ მოხეტის ავდე-ბით გადაწყდა, ორჯერვე კუბელს გაუ-მართლდა, არადა, რომ არ გამართლე-ბოდა დიდძალ ფულთან ერთად ტი-ტულსაც კარგავდა. ძალიან საეჭვოდ დასრულდა თავისუფლებში 66 კგ წონა-ში (ოთარ თუმიშვილის წონაში) ფინა-ლური ორთაბრძოლა, მართლაც დიდე-ბულად მოჭიდავე კუბელი საეჭვოდ “გაუგორდა” სამქულიან ვეგებაზე არა-ფრით გამორჩეულ თურქს, რომელსაც თბილისის ტურნირზე საქართველის მეორე და მესამე ნომრებთან წაუგია. საერთოდაც, ჭიდაობაში წონიანი ერე-ბიდან არავინ დაიტრიალებს, რომ სუფ-თად ჭიდაობს, სამი ქვეყნის გარდა - ირანელები, ამერიკელები და იაპონე-ლები პრინციპულად არ ყიდულობენ და არც ყიდვან ორთაბრძოლებს.

### დღნ, დღნ, ირან!

ირანულში ვახსენე და მინდა ამ ჭი-დაობაზე შევეარებული ხალხით აღტა-ცება გავიზიაროთ. როგორც გუანჯო-უში, ისე ბაქოში ირანელ ფალაგენებს თან კარგად ორგანიზებული გულშე-მატკივართა კლუბი ახლდა. მათ ერთი შუახნის მამაკაციც ხელმძღვანელობდა (რომელსაც, ალბათ, ჩინეთიდან მოყო-ლებული არ გაუხდია სტაფილოსფერი 12-ნომრიანი მისურა) სწორედ მისი საყვირის შეძახილზე ხმაშენკობილი “დღნ, დღნ, ირან” - ისმოდა მთელს დარბაზში, მოუღლები ირანელები ჩი-ნეთშიცა და აზერბაიჯანშიც მასპინ-ძელთა ფანებს ათი თავით სჯობდნენ. ქართული მწვრთნელის მონაცოლიდან ვიცი, რომ ირანში ტურნირზე ისეთი ხმაურია, ხალხს საკუთარი შეძახილი არ ესმისო. ასევე კარგის თქმა შემიძ-ლია ამერიკელ ფანებზეც, რომელთა რიცხვი გაცილებით მცირე იყო. ერთ-ერთი აფროამერიკელი კი გამორჩეუ-ლად გულშემატკივრობდა თავისიანებს - ძალის ხმით ყვიფდა, თანაც ისე რისი-ანად, რომ კარგად ისმოდა ხმაურთან დარბაზში.

ბაქოურ შთაბეჭდილებას ყველაზე სასიამოვნოს ვახსენებთ დავასრუ-ლებ. ძალიან კარგი და ვეფექტური იყო დავით ბედინაძის ფინალური გდება (რალაციით ზვიადურის ათენური გაგ-ვახსენა), რამაზ ნოზაძის ექსტრავა-განტური ზემი, საქართველოს ჰიპნზე სიამაყით გეგმა და იმის გააზრება, რომ შენი ქვეყნის შვილი ყველაზე საუ-კეთესაა მსოფლიოში.

ნიკოლოზ ნაზარაძე  
ბაქო-თბილისი

საფრანგეთი საქართველოს წინააღმდეგ

პირველი გვერდიდან

მწვრთნელმა ირლანდიასთან გადამწყვეტი მოგების შემდეგ თხოუმეტულში...


ცხადია, მწვრთნელი ზოგიერთ ლიდერს ასვენებს...

მწვრთნელმა მომავალ მეთვრამეტე წელს...

საქართველოსთან მატჩში ფრანგების კაპიტანი...

სულ ბოლოს კი მოვიყვანთ მცირედ სტატისტიკურ მონაცემებს...

წელს მატჩების შედეგები: 1995 საფრანგეთი-კანადა 20:0, 1999 შოტლანდია-საბანეთი 48:0...



ბენარ ლაპორტი და ჟო მაზო

Table with match results for various categories: აგრეგატივა 14:18, ნაიმიანი 87:10, ირლანდია 25:3...

Table with 7 columns: მსაჯენი, ღირებულება, მწვრთნელი, ადგილი, წელი, კლუბი, მატჩი...

Table with 2 columns: მსაჯენი, ღირებულება. Includes entries like 5 - დან პარტიტი (ჩაქ), დრონი მიჩელი (ავს)...

ჯონი თუ მწვრთნელის ბიზნისი?

28 სექტემბერი, 23:00. A ინგლისი-ბრაზილი

პარიზი, პარკ დე პრინსი ტონე: 15. უნგაკოტო ლილო 14. ტვიტა...

Table with 7 columns: ს. ადამიანი, გ. ბუნა, მ. პარტიტი, ზ. გენდის, კ. ლეკი, ლ. ლუტი, მ. ნილი...

30 სექ, 22:00 ს. ადამიანი-აგს

მსოფლიო თასის ფეხბურთელი ტურნირზე გასამართი დარჩა ერთი ტური...



ჯონი ვილიკინსონი



ფინალ მაკა

ლი თამაშია. პარიზში, "პარკ დე პრინს-ზე" ინგლისი და ბრაზილი...

მსოფლიო თასის მეოთხედფინალში და ყოველთვის ითვლებოდა კუნძულად...

სულ სხვა პრობლემა ანუხებს: გუშინ ტონელები ფეხბურთელად აპირებდნენ...



კალათბურთი

მერიონს ფინიანსიდან ნასვლა სარს

"ფინიანს სანზის" ყველაზე მალაღობა ზღაურებადი კალათბურთელი, ყველა ვარსკვლავის მატჩის "ოთხგზის მონაწილე მონ მერიონი აცხადებს, რომ მას გუნდის გამოცვლა აქვს განზრახული. "უკვე დავილაღე ჩემი შესაძლო ტრანსფერის გარშემო ატეხილი ყორები. საკუთარი გულშემატკივრები ძალიან მიყვარს, მაგრამ ალბათ მოვიდა "ფინიანსის" დატოვების დრო", - ამბობს მერიონი. შეგახსენებთ, რომ მერიონის კონტრაქტი ორი წლის შემდეგ იწურება. დარჩენილ ორ სეზონში, უნივერსალმა კალათბურთელმა 34.2 მილიონი დოლარი უნდა მიიღოს. გასულ სეზონში, 29 წლის მერიონმა რეგულარულ ჩემპიონატში 80 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ შეხვედრაში 17.5 ქულასა და 9.8 მოხსნას აგროვებდა.

უილიამსონი კალათბურთიდან მიდის

საბაბენტი "როიტერის" ინფორმაციით, "საკრამენტოს" ფორვარდმა კორლის უილიამსონმა კარიერის დასრულება გადაწყვიტა. ამასთან დაკავშირებით, 33 წლის კალათბურთელი უახლოეს საათებში გააკეთებს ოფიციალურ განცხადებას. უილიამსონმა ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში 12 სეზონი გაატარა. მისი კარიერული მონაგარი 11.1 ქულასა და 3.9 მოხსნას შეადგენს. "საკრამენტოს" გარდა, ეს ფორვარდი "ტორონტოში", "დეტროიტსა" და "ფილადელფიაში" თამაშობდა. რაც შეეხება უილიამსონის ტიტულებს, 2003-04 წლების სეზონში ის "დეტროიტთან" ერთად NBA-ის ჩემპიონი გახდა, ორი წლით ადრე კი, სეზონის საუკეთესო მეექვსე მოთამაშის პრიზი მიიღო.

ჰოკეი მილუოკიში გაღვივდა

სეზონის წინ, სატრანსფერო ბაზარზე აქტიურობას განაგრძობს "მილუოკი ბაქსი". ამჯერად, მან კონტრაქტი გააფორმა 31 წლის ფორვარდმა სამაკი უოკერთან, რომელმაც 2001-02 წლების სეზონში, "ლოსანჯელეს ლეიკერსის" შემადგენლობაში ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. გარდა "ლეიკერსისა", უოკერი "დალასში", "სან ანტონიოში", "მიამიში", "ვანუზერსში" და "ინდიანაში" თამაშობდა. სულ, NBA-ში ჩატარებულ 445 მატჩში, უოკერი საშუალოდ 5.3 ქულას და 4.7 მოხსნას აგროვებდა.

გრიკო ოლიმპიადის 7 მილიონ მიიღებს

ჩვენ უკვე ვწერდით იმის შესახებ, რომ "მილუოკი" უარი განაცხადა მცველ ლინ გრიკთან თანამშრომლობაზე. ამით კალათბურთელმა ძალიან იხიერა, ვინაიდან საბერძნეთის "ოლიმპიკოსთან" სარფიანი კონტრაქტი გააფორმა. გრიკი "მილუოკიში" რომ დარჩენილიყო, მომავალ სეზონში 770 ათას დოლარს მიიღებდა, ბერძნებთან კი, ორწლიანი ხელშეკრულება დადო და მომდევნო ორი წლის განმავლობაში 7 მილიონი დოლარით გამდიდრდება.

მინესოტა ელვარდსი გაიხსენა

"მინესოტა ტიმბერვულვზში" ცენტრალური თავდასხმელი ჯონ ედვარდსი გაიფორმა. უკანასკნელად, ეს კალათბურთელი NBA-ში 2005-06 წლების სეზონში თამაშობდა, სულ კი, კარიერაში 65 მატჩი აქვს ჩატარებული, რომლის დროსაც, საშუალოდ შეხვედრაში მოკრძალებულ 1.5 ქულას და ერთ მოხსნას იხვეჭდა. ედვარდსი ორ კლუბში - "ინდიანასა" და "ატლანტაში" უთამაშია.

აიზია გააჰაიტილანს

"ნიუ იორკ ნიქსის" მთავარი მწვრთნელი, 46 წლის აიზია ტომასი 10-მილიონიანი ჯარიმის გადახდას გადაურჩა. ეს სპეციალისტი თავისი კლუბის ერთ-ერთ თანამშრომელ ანუჩე ბრაუნ-სანდერსზე სექსუალური ძალადობის მცდელობაში იყო ეჭვმიტანილი. ამ ქალბატონმა სასამართლოში სარჩელი შეიტანა და მორალური კომპენსაციისთვის 10 მილიონი დოლარი მოითხოვა, მაგრამ პროცესი წაავი. სასამართლოზე ტომასის მხარი უამრავმა მოწმემ დაიჭირა, მათ შორის იყო ნიუ იორკის "მედისონ სკვერ გარდენის" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე ჯეიმს დოლანი. ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ მან სამსახურიდან დაითხოვა ბრაუნ-სანდერსი, როცა გაიგო, რომ ანუჩე თავის ხელქვეითებს ტომასზე ჯაშუშობას ავალბებდა.

სანზა სკინარი დაიბადა

"ფინიანს სანზმა" "სიეტლ სუპერსონიქსში" გადასულ მძიმე ფორვარდს, კურტ ტომასს შემცვლელი მოუძებნა. ეს ვაიკატური ადგილი თავისუფალმა აგენტმა ბრაიან სკინერმა დაიკავა. "სანზმა" მასთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა, რომლის მიხედვითაც, კალათბურთელს 1.1 მილიონ დოლარს გადაუხდის.

ჩოგბურთი

შარაპოვა გამოჯანმრთელებას ვერ ახერხებს

რუსმა ჩოგბურთელმა შარა შარაპოვამ მტუტგარტის ტურნირიდან გამოიტანა განაცხადი. ეს შეეხებოდა მომავალ კვირას გაიმართება და მასში მსოფლიოს მეოთხე ჩოგანი მხარის ტრამის გამო ვერ ითამაშებს. მტუტგარტის ტურნირი (Stuttgart Grand Prix) ერთ-ერთ ყველაზე წარმომადგენლობითია WTA-ს ტურში. ორგანიზატორებს იმედი აქვთ, რომ შარაპოვა ერთადერთი გამოწვევის იქნება და ტურნირში რეიტინგის წამყვანი ათეულის ყველა წევრი მიიღებს მონაწილეობას.

ამერიკალებმა პირველი პირიონი

ბაირკამ დევისის თასის ფინალის მასპინძელი ქალაქი. ამერიკის ჩოგბურთის ასოციაციამ გადაწყვიტა, რომ ამ ქვეყნის ნაკრები რუსეთის პორტლენდში, "მემორიალ კოლინეუმის" სტადიონზე უმასპინძლებს. ეს არენა, დევისის თასის მატჩებს 1981 და 1984 წლებშიც მასპინძლობდა. სხვათა შორის, ბოლო 15 წლის განმავლობაში, ეს პირველი შემთხვევაა, როცა დევისის თასის ფინალი ამერიკაში გაიმართება.

ოლიმპიადი

ბაქო ოლიმპიადისთვის იზრკოლანს

აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა ბრძანება გამოსცა - უნდა შეიქმნას საორგანიზაციო კომიტეტი, რომელიც 2016 წელს, ზაფხულის ოლიმპიადის მასპინძლობისთვის ბაქოს განაცხადს დაუჭერს მხარს. საორგანიზაციო კომიტეტს სათავეში აზერბაიჯანის მთავრობის ვიცე-პრეზიდენტი იაგუბ იუზუპოვი ჩაუდგება.

NHL. ტრანსფერები

მალე სეზონი დაიწყება

ჰოკეის ეროვნული ლიგის მორიგი რეგულარული სეზონი 29 სექტემბერს იწყება. ახალ ჩემპიონატს ლონდონში "ლოს ანჯელესი" და "ანაჰაიმი" გახსნიან. სეზონის წინ, კლუბების შემადგენლობებში სერიოზული ცვლილებები მოხდა. სანამ სეზონი დაიწყებოდა, გავეცნოთ თუ რა ხდებოდა ამ ზაფხულს თავისუფალი აგენტების ბაზარზე

Table with 3 columns: მოთამავე, ყოფილი კლუბი, ახალი კლუბი. Lists player transfers between teams like Boston Bruins, New York Rangers, etc.


Table with 3 columns: ვიზალი ვიზანსაჰი, ნიუ ჯარსი, ნიუ ჯარსი. Lists various players and their associated teams.

უკომსპორტი

ფორმულა 1. იაპონიის დიდი პრიზი

ალონსო გაქლარენის დატოვებას არ აპირებს

იაპონიის დიდი პრიზის წინ გამართულ პრესკონფერენციაზე, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა, ესპანელმა ფერნანდო ალონსომ განაცხადა, რომ გუნდის შეფრონ დენისთან დაძაბული ურთიერთობის მოუხდავად, არ სურს "მაკლარენის" დატოვება და რომ მომდევნო სეზონშიც ამ გუნდის ბოლოდით ასპარეზობას აპირებს. "ამ გუნდთან სამწლიანი კონტრაქტი მაკავშირებს და ვერ ვხედავ მიზეზს, რის გამოც მერმის სხვა გუნდში უნდა გადავიდე. ამ სეზონში ოთხი რბოლის მოგება შევძელი და ჩემპიონობისთვისაც ვიბრძვი. ამიტომ, რა გასაკვირი უნდა იყოს, რომ მე აქ თავს კარგად ვგრძობ", - განაცხადა ალონსომ, ვისაც დენისთან ურთიერთობა უნგრეთის დიდი პრიზის საკვალიფიკაციო სესიის მიწურულს დაეძაბა და მას შემდეგ აღარ ელაპარაკება. ალონსომ დასძინა, რომ მის მიმართ გამოქვეყნებულ რეპლიკებს და ბრალდებებს პასუხის გაცემას არ აპირებს - ჩემს სათქმელს ტრასაზე ვიტყვი, შეპირდა უურნალობს. სხვათა შორის, მან ტრასაზე თავისი სათქმელი წინა რბოლის, ბელგიის დიდი პრიზის დროსაც თქვა, რომლის პირველივე მოსახვევში, ტრასიდან გადააგდო თავისი ბრიტანელი თანაგუნდელი ლუის ჰემილტონი. რა თქმა უნდა, ბელგიური ინიციენტი არც ჰემილტონს დაეინყებია, ვინც იაპონური რბოლის წინ, თანაგუნდელთან შეხვედრას და აღნიშნული საკითხის განხილვას აპირებს. "წინა რბოლის შემდეგ ჩვენ არ გვისაუბრია. უნდა ვიცოდეთ, თუ მომავალშიც აპირებს ჩემ წინააღმდეგ ისეთი აგრესიუ-



ფერნანდო ალონსო

ლი მანევრების გამოყენებას, რომელსაც ადგილი "საზუ" ჰქონდა, მაშინ მეც ადეკვატურად ვიმოქმედებ. ბოლოსდაბოლოს, უნდა ვიცოდეთ თამაშის წესები. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნაგებულები დავრჩები", - ამბობს ჰემილტონი, ვინც ჩემპიონატის დასრულებამდე სამი რბოლით ადრე, ალონსოს ოდენ ორი ქულით უსწრებს. დიდი პრიზების ციკლის ბრიტანელი ახალბედა ამბობს, რომ წინა ორ რბოლაზე თავისი ბოლოდით არასწორად მოამზადა, რამაც მის შედეგებზეც უარყოფითად იმოქმედა. ჩვენ პრაქტიკულად ერთნაირად ვამზადდებით მანქანებს, მაგრამ იტალიასა და ბელგიაში მე გარკვეული შეცდომები დავუშვი, რომელთა გამოვინებებაც აღარ ვაპირებო, - ამბობს ჰემილტონი. ბრიტანელი პილოტი განზილებულია იმ ფაქტით, რომ იაპონიაში რბოლა სუტუკას ნაცვლად ფუტბზე ტარდება. "ამ ტრასის შესახებ წარმოდგენაც არ მაქვს. ვიცი მხოლოდ ის, რომ აქ ძალიან გრძელი სწორი გავლა მოვკინვეს. დანარჩენი კი ბურუსითაა მოცული. ძალიან მინდოდა სუტუკაზე რბოლა, მაგრამ ეს ტრასა სწორედ მაშინ ამოვარდა კალენდრიდან, როცა მე ფორმულაში მოვედი", - დალონებულია ჰემილტონი. სხვათა შორის, თუ იაპონიის დიდი პრიზიც "ფერარის" რომელიმე პილოტის გამარჯვებით დასრულდება, ეს იტალიური საჯინოსის მიერ ფორმულა ერთში მოგებული მეორე რბოლა იქნება. ცნობისათვის, მარანელოლების ბოლოდით პირველი გამარჯვება 1951 წელს "სილვერსტონზე" არგენტინელმა ხოსე ფროილან გონსალესმა მოიპოვა.

მერაბ ლორთქიფანიძე



